საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა

IV კვარტალი, 2024 წელი

28.02.2025
www.geostat.ge

28.02.2025

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა

(IV კვარტალი, 2024 წელი)

2024 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე 15 წლის და უფროსი ასაკის ადგილობრივი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა 1 315.5 ათასით განისაზღვრა, რომელთა მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურმა რაოდენობამ 1 540.6 ათასი ერთეული შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა გაიზარდა 5.6 პროცენტით, ხოლო მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2.1 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

დიაგრამა №1 ასახავს 2023-2024 წლების მეოთხე კვარტალებში საქართველოს რეზიდენტი 15 წლის და უფროსი ასაკის ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურ რაოდენობებს.

დიაგრამა №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორებისა და მათ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა



28.02.2025

2024 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტურისტული ტიპის ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა 672.5 ათასით განისაზღვრა, რაც 2.1 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. დიაგრამა №2 ასახავს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით.

დიაგრამა №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



ვიზიტორების უმრავლესობა, 37.1 პროცენტი, 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ქალების რაოდენობა კი ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 54.8 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა №3

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2024 წლის IV კვარტალში



დიაგრამა №4

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით 2024 წლის IV კვარტალში



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ვიზიტორების 38.1 პროცენტი ქ. თბილისის მაცხოვრებელია, 14.5 პროცენტი მოდის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე, 9.4 პროცენტი — ქვემო ქართლის რეგიონზე, ხოლო დანარჩენი რეგიონები შედარებით დაბალი წილებით არის წარმოდგენილი.

დიაგრამა №5 ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით.

დიაგრამა №5

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით 2024 წლის IV კვარტალში, %



2024 წლის მეოთხე კვარტალში ვიზიტების უმრავლესობა (54.0 პროცენტი) განხორციელდა მეგობრების/ნათესავების მონახულების მიზნით.

ცხრილი №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის ძირითადი მიზნის მიხედვით 2024 წლის IV კვარტალში, ათასი

ვიზიტის მიზანი	რაოდენობა	წილი, %
მეგობრების/ნათესავების მონახულება	831.9	54.0
შოპინგი	251.1	16.3
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	142.1	9.2
მკურნალობა, გაჯანსაღება	115.5	7.5
მეორე სახლის მონახულება (აგარაკი ან სხვ.)	115.2	7.5
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	38.2	2.5
სხვა	46.6	3.0
სულ	**1 540.6**	**100.0**

საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ქ. თბილისში (საშუალოდ 376.5 ათასი ვიზიტი თვეში) და იმერეთის რეგიონში (საშუალოდ 324.5 ათასი ვიზიტი თვეში). დიაგრამა №6 ასახავს ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა №6

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით 2024 წლის IV კვარტალში



28.02.2025

დიაგრამა №7 ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

დიაგრამა №7

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით 2024 წლის IV კვარტალში



28.02.2025

2024 წლის მეოთხე კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა განისაზღვრა 259.0 მილიონი ლარით, რაც 3.2 პროცენტით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, ერთ ვიზიტზე გაწეული საშუალო ხარჯი შემცირდა 1.1 პროცენტით და 168.1 ლარს გაუტოლდა.

ცხრილი №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით 2024 წლის IV კვარტალში

ხარჯის ტიპი	ხარჯი (მლნ. ლარი)	წილი, %	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
საყიდლები	105.3	40.6	68.3
საკვები და სასმელი	55.3	21.3	35.9
ტრანსპორტი	53.7	20.7	34.8
განთავსება	6.7	2.6	4.4
გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	1.5	0.6	1.0
სხვა	36.6	14.1	23.8
სულ ხარჯი	**259.0**	**100.0**	**168.1**

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:
დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 2 36 72 10 (601) E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge